გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

შეხვედრის თემა: ბავშვობის ასაკში ქორწინება და საზიანო პრაქტიკები

29 მაისი, 2020 წელი

შეხვედრის ოქმი

<u>**შეხვედრის თავმჯდომარე:**</u> ლელა აქიაშვილი, პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე

<u>**სხდომის მდივანი:**</u> გიორგი ბედოიძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი

გადაწყვეტილებები/შემდგომი ნაბიჯები:

- ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და საზიანო პრაქტიკასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება უწყებათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობით.
- ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და საზიანო პრაქტიკასთან ბრძოლის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება უწყებათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობით.
- საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება.
- ბავშვობის ასაკში ქორწინების დანაშაულის დაზარალებულთა მხარდჭერის პროგრამების გაძლიერება.

დანართები

დანართი N1. მონაწილეთა სია

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა **ლელა აქიაშვილმა,** პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. მან მადლობა გადაუხადა შეხვედრაზე დამსწრეებს სამუშაო ჯგუფში ჩართულობისთვის და, ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეებს და გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლებს შეხვედრაში მონაწილეობისთვის. მან აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციისა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის როლს წარმოადგენს მუშაობის კოორდინაცია შესაბამის უწყებებს შორის. ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და სხვა საზიანო პრაქტიკების საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელზეც კოორდინირებული მუშაობაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მკაცრია ამ პრობლემატიკის მიმართ, პრაქტიკაში მისი განხორციელება გარკვეულ ხარვეზებსა და შემაფერხებელ ფაქტორებს აწყდება. პრობლემის მოგვარების ერთსახოვანი გზა არ არსებობს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უწყებათა თანამშრომლობით მოხერხდეს მისი მრავალმხრივი ასპექტების ჰოლისტური, კოორდინირებული და ეფექტიანი გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობასა და ქცევების შეცვლის აუცილებლობაზე. ასევე, აღნიშნა, რომ საკითხი მოითხოვს არა ერთჯერად, არამედ პერმანენტულად აქტიურ მუშაობას თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

სიტყვა გადაეცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, **ნინო ცაციაშვილს,** რომელმაც აღნიშნა, რომ ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხი არის აქტუალური, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ პრობლემატიკით გამოწვეული დანაშაულით არ ხასიათდება რომელიმე ერთი ეთნიკური ჯგუფი, არამედ ეს პრაქტიკა გავრცელებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თავის მხრივ, საჯაროდ წარადგინა ანგარიში ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულების შესახებ, რომელშიც გამოკვეთილია ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები მოცემული ეტაპისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა მოსახლეობის მხრიდან დაგვიანებული მომართვიანობაა სამინისტროს მიმართ, რაც შემდგომ ართულებს რეაგირებისა და მტკიცებულებების მოპოვების პროცესს. მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, არ უნდა შეილახოს არასრულწლოვანთა, მსხვერპლთა ინტერესი, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სწორი სამოქმედო გეგმა და ხედვა ამ პრობლემის მოგვარებისა, რომელიც დაფუძნებული იქნება წარსულ გამოცდილებაზე, არსებულ გამოწვევებსა და მომავლისკენ ორიენტირებაზე. ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ითავსებს აღნიშნული ტიპის დანაშაულების მონიტორინგისა და პერიოდული ანალიზის ფუნქციას. ბოლო ანალიზი ასახავს 2019 წლის მონაცემებს, რომელიც, როგორც აღინიშნა, უკვე გამოქვეყნდა საჯაროდ. მან აღნიშნა, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საკითხი და ქცევების შეცვლის ხელშეწყობა

უპირველესი ნაბიჯი უნდა იყოს პრობლემის გადაჭრის საქმეში. პრობლემატურია ისიც, რომ მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ არ მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულზე რეაგირების მოთხოვნით, და სხვადასხვა დაწესებულებებიდან, ან მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, თვეების დაგვიანებით იწყება საქმეების შესწავლა. მან გაამახვილა ყურადღება უწყებების კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობაზე, ვინაიდან ეს პრობლემა მასშტაბურია და მრავალმხრივი. ასევე, აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2019 წელს ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში, სახელწოდებით „ნუ წაართმევ ბავშვობას“. მნიშვნელოვანია, რომ პრობლემები, რომლებიც ბავშვობის ასაკში ქორწინების დანაშაულის გამოძიების ხარისხთან იყო დაკავშირებული, გაანალიზდა და შემუშავდა რეკომენდაციები შემდგომი გამოძიებების ეფექტიანად წარსამართად. ყოველი საქმე და მისი გამოძიება კი ფასდება არსებული რეკომენდაციების საფუძველზე. აღნიშნა, რომ გამოწვევად რჩება რეგიონებში ამ თემატიკით საზოგადოების დაინტერესება და მათი ჩართულობის ზრდა. მან გამოთქვა მზაობა კოორდინირებულ მუშაობაში ჩასართავად, როგორც სამთავრობო ინსტიტუციებთან, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ლელა აქიაშვილმა მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს გაწეული სამუშაოსთვის და განმარტა, რომ რეგიონებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ბაზაზე და ამ პლატფორმის წევრების ჩართვა აღნიშნულ საკითხზე კამპანიების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვნად და აუცილებელ ფაქტორად მოიაზრება.

სიტყვა გადაეცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, **ეკატერინე დგებუაძეს,** რომელმაც აღნიშნა, რომ განათლების სამინისტროსა და, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და სხვა საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრის საქმეში. მან აღნიშნა, რომ პრობლემა ქვეყნის მასშტაბით გავრცელებულია თანაბრად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, არა მარტო ცნობიერების ამაღლების მხრივ, არამედ ბევრი სხვა კუთხით მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. მან აღნიშნა, რომ სასკოლო საგანმანათლებლო კურიკულუმებში მოცემული საკითხი არის გათვალისწინებული, თუმცა, ცხადია ეს არ არის საკმარისი მოკლე პერიოდში შედეგების მისაღწევად. მან აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის მომზადებაში აქტიურად არის ჩართული სამინისტრო. მან, ასევე, განმარტა, რომ არის ხშირი შემთხვევები, როდესაც ადრეულ ასაკში ქორწინებისა და საზიანო პრაქტიკების შესახებ ინფორმაცია იმალება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და კანონის უგულებელყოფა ხდება. შესაბამისად, შესაძლოა ეფექტიანი აღმოჩნდეს კანონის დარღვევისთვის რეაგირების გამკაცრებაც. ეკატერინე დგებუაძემ აღნიშნა, რომ განათლების სისტემა ემზადება სოციალური მუშაკების დასაქმებისათვის, მუშავდება შესაბამისი საკონტრაქტო დოკუმენტი, ასევე

მიმდინარეობს მათი უფლება-მოვალეობების შესახებ წესის მომზადება. განათლების სამინისტრომ, ასევე, შეიმუშავა განათლების მიღმა დარჩენილი ადამიანების მოძიების პროგრამა, რომელიც მთავრობას აქვს განსახილველად წარდგენილი, რაც გულისხმობს 6-დან 16 წლამდე სავალდებულო განათლების გარეშე დარჩენილი მოზარდების იდენტიფიცირებას. ასევე მნიშვნელოვანია მსჯელობა იმაზე, თუ პრობლემის გადასაჭრელად რა ფუნქციები შეიძლება დაეკისროს მანდატურებს და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს. მან გამოთქვა მზაობა აქტიური თანამშრომლობისათვის.

სიტყვა გადაეცა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, **ლია გიგაურს,** რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგადი სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ყველა რეგიონში მწვავედ დგას ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და საზიანო პრაქტიკის საკითხი, თუმცა, მიზეზები განსხვავებულია გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ეთნიკური მიკუთვნებულობისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ მიზეზები შესაძლოა იყოს, როგორც რომელიმე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის კულტურული მახასიათებლები, ასევე ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, პოლიტიკური და სამოქალაქო გათვითცნობიერების ნაკლებობა, სტერეოტიპები და დამოკიდებულებები და სხვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იყოს, პირველ რიგში, პრევენციაზე, ასევე გადამისამართების/მიმართვის მექანიზმის ეფექტიანი მუშაობის დანერგვაზე, ცნობიერების ამაღლებასა და მსხვერპლის მხარდაჭერაზე. ზოგიერთ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში გაცილებით მკვეთრადაა ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული საზოგადოებაში ქალის როლთან დაკავშირებული სტერეოტიპები, რაც განაპირობებს ბავშვობის ასაკში ქორწინების უმეტეს შემთხვევებს, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას არა მოზარდები, არამედ მათი მშობლები იღებენ. ამიტომ პრობლემის გადაჭრის ფოკუსი მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ მოზარდებზე, მსხვერპლებსა და დამნაშავეებზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე, იმ სოციუმზე, რომელშიც ისინი ყალიბდებიან. რა თქმა უნდა, ცხადია, რომ მათი ცნობიერების შეცვლა არ არის მარტივი და გრძელვადიანი პროცესია. მან განმარტა ის პრობლემები, რომლებითაც ხასიათდება ბავშვობის ასაკში შექმნილი ოჯახები და აღნიშნა, რომ მოზარდი გოგონები ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ იმ პრობლემებს, რომლებსაც ან უკვე აწყდებიან, ან მომავალში შეექმნებათ. მისი განმარტებით, შედეგიანი იქნება ინტენსიური შეხვედრები კონკრეტული თემის წარმომადგენლებთან და კამპანიების წარმართვა, რომ პრევენცია იყოს გრძელვადიანი და ხარისხიანი. ასევე, აღნიშნა, რომ რამოდენიმე უწყებასთან, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატთან ერთად, რეგულარულად ტარდება შეხვედრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური თემების წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდებოდა ბავშვობის ასაკში ქორწინების ნეგატიური მხარეების შესახებ და არსებული სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ჯანმრთელობისა და სხვა სასიცოცხლო რისკების თაობაზე. განსაკუთრებით ეფექტიანი აღმოჩნდა პოლიციელებისა და ექიმების ჩართულობა კამპანიაში. თუმცა, როგორც კი მცირდება შეხვედრების რაოდენობა, იზრდება ბავშვობის ასაკში ქორწინების რისკი. მან,

ასევე, ისაუბრა იმ გოგონათა ფსიქოლოგიურ პრობლემებზე, რომლებიც, კონკრეტულ საზოგადოებაში, ვერ იღებენ გადაწყვეტილებას საკუთარი ცხოვრების წარმართვის შესახებ, არ არიან დამოუკიდებლები, აქვთ დაბალი თვითშეფასება და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ბოლოს აღნიშნა, რომ სხვადასხვა უწყებათა ჩართულობის მნიშვნელობა ცალსახაა პრობლემის აღმოსაფხვრელად.

სიტყვა გადაეცა **გოგა ხატიაშვილს,** რომელმაც წარადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და საზიანო პრაქტიკების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ პრობლემის მოგვარების საკითხში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პრევენციისა და რეაგირების სისწრაფეს. ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უწყების მიმართ მიმართვიანობა არის გაზრდილი, რაც დანაშაულის გამოვლენის თვალსაზრისით პოზიტიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ძირითადი დანაშაულები, რომელსაც ბავშვობის ასაკში ქორწინება აერთიანებს და გამოკვეთილია, არის სქესობრივი კავშირი არასრულწლოვანთან (16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან), ქორწინების იძულება და თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ხოლო, თავის მხრივ, ძირითადი პრობლემა, რომელსაც აწყდება უწყება ამ დანაშაულების გამოძიებისა და მათზე რეაგირების კუთხით არის დაგვიანებული მომართვა. 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის დანაშაულზე რეაგირება სირთულესთან არის დაკავშირებული, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში მომართვიანობა ფიქსირდება ორსულობის 9 თვის გასვლის შემდეგ. ეს პროცესი მსხვერპლისთვის ძალიან რთულია და ხშირად სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჩართულობით ხდება მათი დაყოლიება. აღნიშნული პრობლემის მიზეზი, პირველ რიგში, არის საზოგადოების არაინფორმირებულობა, ცნობიერების ამაღლების საჭიროება, დამკვიდრებული მავნე და საზიანო სტერეოტიპული დამოკიდებულებები და სხვა ფაქტორები. რაც შეეხება გოგონათა „მოტაცების“ საკითხს, ანუ თავისუფლების უკანონო აღკვეთის პრობლემას, იმ დროს, როდესაც სამართალდამცავებს გამოძიებისთვისა და რეაგირებისთვის მსხვერპლი და დამნაშავე გადაჰყავთ პოლიციაში, მსხვერპლი უმეტეს შემთხვევაში იძულებით აცხადებს, რომ ნებაყოფლობით მოატაცებინა თავი, რაც, რა თქმა უნდა, რეალობას არ შეესაბამება, საბოლოოდ კი ის იძულებული ხდება დარჩეს გამტაცებელთან. კიდევ ერთი დანაშაული, რომელიც ხშირად ვლინდება, არის ქორწინების იძულება, რასთან დაკავშირებითაც, გამოძიება და რეაგირება გართულებული და დროში გაწელილია, ვინაიდან მიმართვიანობა არის დაგვიანებული მსხვერპლის მხრიდან, და უმეტეს შემთხვევებში მსხვერპლი უშუალოდ არ მიმართავს უწყებას, არამედ მესამე, გარეშე პირები (ექიმები, მასწავლებლები, მეგობრები და სხვა) უკავშირდებიან შესაბამის ორგანოს. ზოგადად, მხოლოდ დასჯის მექანიზმის არსებობა ვერ იქნება გამოსავალი და ყურადღება უნდა მიექცეს მსხვერპლთა გაძლიერების აქტივობებსაც, რადგან ხშირად დაზარალებული ეჭვქვეშაა და კითხვას სვამს იმის შესახებ, თუ როგორ გაგრძელდება მისი მომავალი პოლიციისადმი მიმართვისა და საქმის დასრულების შემდეგ. თუ პოლიციას ექნება საშუალება, რომ აუხსნას მსხვერპლს, რა სახელმწიფო სერვისებს მიიღებს ის, რომ არ დარჩეს მიტოვებული და შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება, ბავშვი ან მოზარდი მეტად დათანხმდება და გააგრძელებს

გამოძიებასთან თანამშრომლობას. ეს საყურადღებოა, ასევე, იმის გამო, რომ მიმართვიანობის დროს მოზარდი, ან ბავშვი უპირისპირდება ოჯახის წევრს/წევრებს და მომავალში მისთვის შესაძლოა სახიფათო იყოს იმავე პირებთან თანაცხოვრება. შესაბამისად, საჭიროა, დაიგეგმოს და განისაზღვროს ის სერვისები, რომლებიც შეთავაზებული იქნება სახელმწიფოს მხრიდან მსხვერპლთა გაძლიერებისთვის. ტენდენცია, რომელიც ცხადად გამოიკვეთა ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხების კვლევისას, არის ის, რომ ხშირად მოზარდები ნებაყოფლობით, გაუაზრებლად თანხმდებიან ქორწინებას სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის გამო და ახალ ოჯახში შესვლას განიხილავენ, როგორც სიახლის შემომტან ფაქტორს მათ ცხოვრებაში. ასევე, ბავშვები და მოზარდები ექცევიან მავნე სტერეოტიპების გავლენის ქვეშ, რომლებიც ახასიათებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფს საზიანო პრაქტიკებთან დაკავშირებით. მან სურვილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ სამოქმედო გეგმა დაეყრდნოს წარმოდგენილ ანალიზს და გაითვალისწინოს ამ ანგარიშის შედეგები და გამოხატა მზაობა თანამშრომლობისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

სიტყვა გადაეცა **მარიამ ბანძელაძეს,** რომელმაც წარმოადგინა გაეროს მოსახლეობის ფონდის, ბავშვთა ფონდისა და MICS-ის კვლევებზე დაფუძნებული სტატისტიკა ბავშვობის ასაკში ქორწინების თაობაზე. აღნიშნა, რომ ქორწინების მაჩვენებელი და პრევალენტობა ბოლო 10 წლის განმავლობაში არ იკლებს და მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2010 წელს 18 წლამდე გოგონათა 14% დაქორწინდა, ხოლო 2018 წელს 13.9%. მაჩვენებელი განსხვავებულია ქალაქად და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში. ქალაქში მცხოვრები გოგონების 8% არის 18 წლამდე დაქორწინებული, ხოლო სოფელში - 25%. რეგიონულ ჭრილში სურათი შემდეგია: კახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, ხოლო თბილისში, აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში ყველაზე დაბალი. 18 წლამდე ქორწინების მაჩვენებელი ეთნიკური ჯგუფების მიხედვითაც განსხვავდება, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება აზერბაიჯანულ მოსახლეობაში (37,6%). მან, ასევე, წარმოადგინა მონაცემები მოზარდების მიერ სკოლის მიტოვებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ის გოგონები, რომლებიც არ იღებენ/ვერ იღებენ განათლებას, მეტად მოწყვლადები არიან ბავშვობის ასაკში ქორწინებისადმი, რადგან ისინი ვერ ხედავენ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზებისა და განვითარების გზებსა და საშუალებებს. ადრეულ ქორწინებას, ასევე, ღრმა კავშირი აქვს სიღარიბესთან. ადრეულ ასაკში ორსულობა კი პირდაპირ კავშირშია ჯანმრთელობის პრობლემებთან. აღნიშნა, რომ მკვდრადშობადობა ყველაზე მაღალი ფიქსირდება 15-19 წლის გოგონებში. მან, ასევე, წარმოადგინა ამ აღწერილი სტატისტიკური მონაცემებისა და პრობლემების გამომწვევი მიზეზები, მათ შორის, განათლების ნაკლებობა, სტერეოტიპები, სიღარიბე, საკანონმდებლო რეგულაციების დაბალი ცნობადობა და ა.შ. გაეროს მოსახლეობის ფონდის სახელით მან მზადყოფნა გამოხატა სხვადასხვა სახის რესურსებით მხარდაჭერისთვის მოცემულ საკითხზე ნებისმიერი კამპანიის, პროგრამისა და სამოქმედო გეგმის დასახვა-განხორციელების პროცესში.

სიტყვა გადაეცა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს, **სოფიო რუსეცკის,** რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველა მომხსენებელს წარდგენილი დეტალური ინფორმაციისთვის. მან ყურადღება გაამახვილა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილ პრობლემებზე სკოლაში. აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორები ხშირად მალავენ ბავშვობის ასაკში ქორწინების ფაქტებსა და დანაშაულებს. არ არის საგაკვეთილო დასწრების მაჩვენებელი სრულყოფილად წარმოებული და ნაკლებია თანამშრომლობა საგამოძიებო და სამართალდამცავ ორგანოებთან, ასეთ შემთხვევებზე რეაგირების წარმართვისთვის. მან აღნიშნა, რომ ბავშვებსა და მოზარდებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის ასპექტების შესახებ, ჯანმრთელობის დაზიანების რისკების შესახებ, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებისა და სხვა სამოქალაქო უფლებების თაობაზე. აუცილებელია აქცენტირება მოხდეს ბავშვობის ასაკში ქორწინების ნეგატიური ასპექტების წარმოჩენაზე ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ასევე, მსხვერპლებისთვის. სახალხო დამცველის აპარატის სახელით მან მზადყოფნა გამოთქვა სამომავლო თანამშრომლობისთვის პრობლემის მოგვარებისკენ მიმართული ნებისმიერი აქტივობის განხორციელებისას.

სიტყვა გადაეცვა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელს, **მარიამ ჯაჯანიძეს**, რომელმაც გამოხატა ინტერესი იმ კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯების განსაზღვრის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია მოცემულ ეტაპზე პრობლემასთან გასამკლავებლად. მან აღნიშნა, რომ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო მზადაა თანამშრომლობისთვის და საკუთარი წვლილის შეტანისთვის.

სიტყვა გადაეცა უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების უფროსს, **მარინა კვაჭაძეს,** რომელმაც წარმოადგინა სტატისტიკა ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ წარმართული სასამართლო საქმეების შედეგების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ კონკრეტული მოსამართლეების ჩართვა მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე მუშაობისას, რაც მათ საშუალებას მისცემს უფრო მეტად გაითვალისწინონ გარკვეული სპეციფიკური გარემოებები, რაც თან ახლავს ადრეულ ასაკში ქორწინების დანაშაულს. ასევე, აღნიშნა, რომ სასამართლოში შემუშავებულია არასრულწლოვანთა გამოკითხვის წესი და ე.წ. „გაიდლაინები“ და მათი უწყებებისთვის გაცნობა პრობლემასთან ბრძოლის პროცესში იქნება ხელშემწყობი ფაქტორი.

სიტყვა გადაეცა პროკურატურის წარმომადგენელს, **ლონდა ბიჭიკაშვილს,** რომელმაც აღნიშნა, რომ 2016 წელთან შედარებით, დღეის მდგომარეობით დანაშაულის გამოძიების დაწყების მაჩვენებლის კლება სახეზეა, თუმცა მცირედი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ბავშვობის ასაკში ქორწინების ფაქტები იყო მეტი ვიდრე დღეს და მათი გამოვლენა ვერ ხდებოდა ისეთი ინტენსივობით, როგორც დღეს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დღეს მეტად ხდება ამ დანაშაულების გამოვლენა, ვინაიდან შეიცვალა მომმართველისა და შემტყობინებლის ვინაობაც. 2015 წელს, ძირითადად, გამოძიებადაწყებული საქმეების ანალიზის შედეგად, ირკვეოდა, რომ პოლიცია დანაშაულის შესახებ ინფორმაციას იღებდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან, ანუ დანაშაულის საბოლოო, უკიდურესი ეტაპის მიღწევის შემდეგ. 2019 წელს

მომართვიანობა გაიზარდა ექიმების მხრიდან. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, რომ დაიწყოს მუშაობა პრობლემის დასაწყისშივე აღმოფხვრაზე, ანუ არ მოხდეს უშუალოდ ქორწინების ფაქტი, და შემდეგ დაგვიანებული მიმართვის საფუძველზე არ მოუწიოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას რეაგირება, ვინაიდან აღნიშნა, რომ დანაშაულის შეტყობინება ხშირად ხდება ერთი წლის დაგვიანებითაც კი. მაგალითად, 2019 წელს ვლინდებოდა 2018 წელს ჩადენილი დანაშაულები, ისევ და ისევ დაგვიანებული მიმართვის გამო. აღნიშნა, რომ შეინიშნება დადებითი ტენდენცია ასაკობრივი განსხვავების შემცირების კუთხით, უფრო ზუსტად კი, მცირდება იმ შემთხვევების რაოდენობა, როდესაც არასრულწლოვან გოგონაზე ქორწინდება დიდი ასაკობრივი სხვაობის მქონე მამაკაცი. მან, ასევე, წარმოადგინა მონაცემები აღკვეთის ღონისძიების, მათ შორის პატიმრობის გამოყენების შემთხვევებზე, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტებზე. ასევე, ისაუბრა იმ პოლიტიკის თაობაზე, რომელსაც პროკურატურა ახორციელებს მსგავსი დანაშაულების გამოძიებისას. აღნიშნა, რომ ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა ძალიან დიდია წარმოდგენილი პრობლემების გადასაწყვეტად.

ლელა აქიაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა გამომსვლელს და შეაჯამა ის საკითხები, რომელზეც უნდა კონცენტრირდეს უახლოეს მომავალში ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და საზიანო პრაქტიკებზე მომუშავე ჯგუფი: აღნიშნა, რომ უპირველესად უნდა დასრულდეს სამოქმედო გეგმის შემუშავება უწყებათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობით. მოცემული ეტაპისთვის, მნიშვნელოვანია, პირველადი ვერსიის შემუშავება, რომლის დახვეწისთვის უკვე შემდგომში ყველა უწყება იმუშავებს. შემდეგ საჭიროა დაიწყოს აღსრულების ეტაპი და შესაძლებელია, მათ შორის, სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების პარალელურად, წარიმართოს საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.

დანართი N1 - შეხვედრის დამსწრეთა სია

	სახელი, გვარი	უწყება
1.	ნინო ცაციაშვილი	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
2.	ეკატერინე დგებუაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე
3.	ლია გიგაური	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
4.	სალომე კუსიანი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
5.	ლონდა ბიჭიკაშვილი	საქართველოს პროკურატურა
6.	მარინა კვაჭაძე	საქართველოს უზენაესი სასამართლო
7.	სოფიო რუსეცკი	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
8.	მარიამ ჯაჯანიძე	საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო
9.	გოგა ხატიაშვილი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
10.	მარიამ ბანძელაძე	გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
11.	მაგდა მამუკაშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
12.	თამარ რობაქიძე	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო
13.	მერიკო ქაჯაია	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო
14.	გულიკო მაჭარაშვილი	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო
15.	გიორგი ბედოიძე	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო